2017 წლის იანვარი-მარტის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგისტრირებულია სულ 74 წერილობითი განცხადება, აქედან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პასუხი გაეცა 41 მოთხოვნას, მათ შორის 3 შემთხვევაში ეცნობათ, რომ უწყებაში დაცული არ იყო მოთხოვნილი ინფორმაცია; 12 განცხადება ზემოაღნიშნული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს; ხოლო 21 წერილი იმყოფებოდა განხილვის პროცესში. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულ მოთხოვნებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.